ონის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბრძანება:**ბ78. 78260895**

თარიღი:**30/03/2026**

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის საკოორდინაციო სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე. ე“ და ,,ე. ვ“ ქვეპუნქტების და ამავე კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N654 დადგენილების „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნათა შესაბამისად **ვბრძანებ:**

1. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებებში პროექტების შერჩევის პროცედურებისა და განხორციელების კოორდინაციის მიზნით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი (შემდგომში-სამუშაო ჯგუფი) შემდეგი შემადგენლობით:
ლევან შერაზადიშვილი-მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე-სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე (ფუნქციები: სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებებში პროექტების შერჩევის პროცედურებისა და განხორციელების კოორდინაციის პროცესის საერთო ხელმძღვანელობა, ანგარიშგება მერთან);
ბაჩანა მარკოიშვილი-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე-სამუშაო ჯგუფის წევრი (ფუნქციები: საკრებულოს წევრებთან ურთიერთობა, მათი ინფორმირება და საკრებულოს მაჟორიტარი წევრების ჩართვა პროგრამის განხორციელების პროცესში);
ირმა ჩიხრაძე-მერის მოადგილე - სამუშაო ჯგუფის წევრი (ფუნქციები: სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებებში პროექტების შერჩევის პროცედურებისა და განხორციელების კოორდინაციის პროცესის ხელშეწყობა);
თინათინ ბროლაშვილი-მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი- სამუშაო ჯგუფის წევრი (ფუნქციები:პროცესის წარმართვისათვის საჭირო თანხების მობილიზების წინადადებების მომზადება, საპროექტო წინადადებების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანადაფინანსების საკითხების განხილვა);
მარიამი გობეჯიშვილი-მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული სამსახურისხელმძღვანელი-სამუშაო ჯგუფის წევრი-(ფუნქციები: მერის სამართლებრივი აქტების მომზადება, საერთო კრებების ჩატარების პროცესში სამართლებრივი კონსულტაციებით მხარდაჭერა);
გივი ბენდიანიშვილი-მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელი-სამუშაო ჯგუფის წევრი-(ფუნქციები:საპროექტო წინადადებების

წარდგენის პროცესში სამსახურის მიერ მოქალაქეთა კონსულტირება, საჭიროებისას - მერიის მიერ საპროექტო წინადადებების შემუშავება, საპროექტო წინადადებების ნუსხის ფორმირება დასახლებების მიხედვით, შერჩეული საპროექტო წინადადებების განხილვა და მერისათვის წინადადებების მომზადება, საკრებულოში წარსადგენი პროექტების საბოლოო ნუსხის პროექტის მომზადება);
თეიმურაზ გძელიშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკის სამსახურის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი (ფუნქციები: სოფლის მხარდაჭერის პროექტის განხორციელების პროცესში უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საკითხების დარეგულირება);
მირანდა მეტრეველი-მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-მერის წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილების ხელმძრვანელი-სამუშაო ჯგუფის წევრი (ფუნქციები:ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან ურთიერთობა, მათი ინფორმირება და საერთო კრებების/ კონსულტაციების ჩატარების ორგანიზება, მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის ჩათვლით);
ლილი კერესელიძე-მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის- საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელი-სამუშაო ჯგუფის წევრი (ფუნქციები:მუნიციპალიტეტის ვებ-საიტზე ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება, მოსახლეობის ინფორმირება მუნიციპალიტეტის Facebook -გვერდის, ადგილობრივი ბეჭდური და ელექტრონული მედიის მეშვეობით, მერის წარმომადგენლების მხარდაჭერა საინფორმაციო კამპანიის დასახლებებში წარმართვისათვის);
ზაზა ჭელიძე-მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე-სამუშაო ჯგუფის წევრი (ფუნქციები: მუნიციპალიტეტის მრჩეველთა საბჭოს წევრებთან ურთიერთობა, მათი ინფორმირება, ადგილობრივი სამოქალაქო სექტორის, ბიზნესისა და საზოგადოების წარმომადგენლების ჩართვა პროგრამის განხორციელების პროცესში);
2. სამუშაო ჯგუფის მოწვევას ახდენს მერი ან პროცესზე პასუხისმგებელი მერის მოადგილე.
3. სამუშაო ჯგუფის წევრებმა უნდა იმსჯელონ და განსაზღვრონ მუნიციპალიტეტის დასახლებებში საერთო კრებების სხდომებისა და კონსულტაციების ჩატარების, დასახლებებისათვის საორიენტაციოდ გამოყოფილი თანხის ოდენობების, მათი ეფექტურად გამოყენების გზები და სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.
4.სამუშაო ჯგუფმა სისტემატურად უზრუნველყოს მერის ინფორმირება სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მიმდინარეობის თაობაზე.
5.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ამბროლაური კოსტავას ქ. N13) მისი გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში საქართველოს კანონის ,,საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22- ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დავით ლობჟანიძე

ონის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი